

## ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №4

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გენერალური გეგმის

შესაბამისად საქართველოს მთავრობა იწყებს კონკურენტულ შერჩევას ჯანდაცვის სექტორში ინვესტიციების მოსაზიდად

## ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №4

---

შესაქმნელი ობიექტები:

- ერთი 100 საწოლიანი მრავალპროფილური ჰოსპიტალი ქ. თბილისში;
- ერთი 70 საწოლიანი მრავალპროფილური ჰოსპიტალი ქ. ფოთში;
- ერთი 50 საწოლიანი მრავალპროფილური ჰოსპიტალი ქ. გარდაბანში;
- ერთი 15 საწოლიანი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალი ქ. წალენჯიხაში;
- ერთი 15 საწოლიანი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალი მესტიაში;

გადასაცემი ობიექტები:

- შპს "სამკურნალო კომბინატი" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი (იურდიული მისამართი: ქ. თბილისი, ქავთარაძის ქ. №16).
- ქ. ფოთში, ქ. გარდაბანში, ქ. წალენჯიხაში და მესტიაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამედიცინო დაწესებულებები, გარდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის "03"-ის.

შერჩევაში მონაწილეობისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს 3 750 000 აშშ დოლარის საბანკო გარანტია აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

წინადადებები შერჩევისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს დახურულ კონვერტებში - 2007 წლის 30 მარტის 17:00 საათამდე.

კონვერტები საჯაროდ გაიხსნება 30 მარტს, 17:30 საათზე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №801.

კონვერტით წარმოდგენილი შემოთავაზება საბოლოოა და გაუმჯობესებას არ ექვემდებარება.

სტანდარტული ხელშეკრულების, საბანკო გარანტიის ფორმის, ჰოსპიტალების მიმართ ტექნიკური მოთხოვნების და სხვა დეტალური ინფორმაციის მიღება შეიძლება ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ოთახი №702 საკონტაქტო პირი - ილია გოცირიძე, ტელ.: 877 22 24 01

---

## ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტი №4 - კონკურსის შედეგები

30 მარტს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში

გამართულ კონკურსზე გამარჯვებულად ერთადერთი მონაწილე - შპს "მერიდიანი" გამოვლინდა, რომელსაც გადაეცემა თბილისში, ქავთარაძის ქ. №16-ში მდებარე შპს "სამკურნალო კომბინატი" და მასთან ერთად ფოთში, გარდაბანში, წალენჯიხაში და მესტიაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამედიცინო დაწესებულებები (გარდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების "03"-ის სადგურებისა).

კონკურსის პირობების თანახმად, ამ სამედიცინო ობიექტების მიღების სანაცვლოდ შპს "მერიდიანი" სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებას იღებს შექმნას:

- ერთი 100 საწოლიანი მრავალპროფილური ჰოსპიტალი ქ. თბილისში;
- ერთი 70 საწოლიანი მრავალპროფილური ჰოსპიტალი ქ. ფოთში;
- ერთი 50 საწოლიანი მრავალპროფილური ჰოსპიტალი ქ. გარდაბანში;
- ერთი 15 საწოლიანი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალი ქ. წალენჯიხაში;
- ერთი 15 საწოლიანი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალი მესტიაში;
- ერთი 15 საწოლიანი ზოგადი პროფილის ჰოსპიტალი ქარელში.

აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად გამარჯვებულმა კომპანიამ 3 750 000 აშშ დოლარის საბანკო გარანტია წარმოადგინა.